საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

KA011885191430518

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

30 / ივნისი / 2018 წ. № 387/ს

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ დროის კვალიფიციური აღნიშვნის გაწევისა და მომსახურების პოლიტიკის დამტკიცების თაობაზე

„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის № 117 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე–9 მუხლის მე–2 პუნქტის „დ” და „ნ“ ქვეპუნქტებისა და „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფლებამოსილებათა დელეგირების, დოკუმენტების დამტკიცების, ტაქსონომიისა და სახელდების სტანდარტის, სააგენტოს დოკუმენტების ელექტრონულ სანახში განთავსებისათვის დადგენილი ფორმის და სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მმართველობითი დოკუმენტების ფორმისათვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მექმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 24 მაისის №343/ს ბრძანებით დამტკიცებული N1 დანართის 5.28 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1. დამტკიცდეს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ დროის კვალიფიციური აღნიშვნის გაწევისა და მომსახურების პოლიტიკა თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქმისწარმოების სამსახურს დაევალოს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულებისათვის გაცნობა.

მუხლი 3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტოს თავმჯდომარე

სოსო გიორგაძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ დროის კვალიფიციური აღნიშვნის გაწევისა და მომსახურების პოლიტიკა

მუხლი 1. პოლიტიკის არსი და ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ დროის კვალიფიციური აღნიშვნის გაცემისა და მომსახურების პოლიტიკას (შემდგომში - პოლიტიკა).

2. დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურება სრულად შეესაბამება ევროპული სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის (European Telecommunications Standards Institute, ETSI) მიერ EN 319 421 სტანდარტით განსაზღვრულ საბაზისო შინაგანაწესს (BTSP; ობიექტის იდენტიფიკატორი 0.4.0.02023.1.1), ხოლო დროის აღმნიშვნელი ერთეულის სერტიფიკატები გაიცემა შესაბამისი სტანდარტით განსაზღვრული QCP-l (იდენტიფიკატორი 0.4.0.194112.1.1) პროფილის მიხედვით.

3. პოლიტიკის უნიკალური იდენტიფიკატორია: 1.3.6.1.4.1.37733.10.5.1.1.0

4. წინამდებარე პოლიტიკა ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე - https://id.ge/pki. აქვე ქვეყნდება პოლიტიკის ყველა ცვლილების პროექტი, პოლიტიკაში შესული ყველა ცვლილება და მათი შესაბამისი პოლიტიკის კოდიფიცირებული ვერსია.

მუხლი 2. სანდო მომსახურების მიმწოდებელი

1. სანდო მომსახურების მიმწოდებელი წარმოადგენს სააგენტოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებისგან დაკომპლექტებულ ჯგუფს, რომელიც ასრულებს კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდებისთვის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს.

2. წინამდებარე პოლიტიკის მიზნებისათვის, დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურება სრულად ხორციელდება ღია გასაღების ინფრასტრუქტურის გამოყენებით, სადაც:

   ა) სანდო მომსახურების მიმწოდებლის უსაფრთხო სისტემების უსაფრთხოებას, მათ შორის, შესაბამისი დახურული გასაღებისა და აქტივაციის მონაცემების დაცვას კომპრომეტირებისგან;

   ბ) დროის აღმნიშვნელი ორგანოს გამართული და უსაფრთხო ფუნქციონირებას და წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად მარეგისტრირებელი ორგანოს მოთხოვნის დაკმაყოფილებას;

   გ) წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული სერტიფიკატის ავტომატური შემოწმების მომსახურების ხელმისაწვდომობას მომხმარებლისა და კონტრაჰენტებისათვის;

   დ) დროის აღმნიშვნელი ორგანოს მიერ დროის აღნიშვნის ტოკენზე ხელმოწერის ალგორითმების კრიპტოგრაფიული მდგრადობის მუდმივ მონიტორინგს. მათ დასუსტებაზე ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ცენტრი მიმართავს შესაბამის ღონისძიებებს, რომლებიც სხვა მოქმედებებთან ერთად გულისხმობს უფრო მძლავრ კრიპტოგრაფიულ ალგორითმებზე გადასვლასაც.

მუხლი 3. დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების პირობები და გამოყენების წესი

1. დროის კვალიფიციური აღნიშვნა არის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მომსახურება, რომელიც შეესაბამება ინტერნეტის საინჟინრო სამუშაო ჯგუფის (Internet Engineering Task Force, IETF) მიერ დადგენილ RFC 1361 სტანდარტს.

2. დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურება, შეზღუდული წარმადობის პირობით, მუდმივად და უსასყიდლოდ ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის მისამართზე - http://tsa.cra.ge/signserver/tsa?workerName=qtsa.

3. იურიდიული პირებისათვის კვალიფიციური დორის აღნიშვნის მომსახურების გარანტირებული წარმადობით მიღება, ამ მუხლის მეორე პუნქტისგან განსხვავებული პირობებით, შესაძლებელია სააგენტოსთვის მიმართვის გზით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად.

4. დროის კვალიფიციური აღმნიშვნელი თითოეული ერთეული დროის აღნიშვნის ტოკენს ხელს აწერს უნიკალური დახურული გასაღებით, რომელიც მხოლოდ ამ მიზნისთვის (დროის აღნიშვნის ტოკენზე ხელმოსაწერად) გამოიყენება. დროის კონკრეტულ მომენტში თითოეულ ერთეულზე აქტიურია მხოლოდ ერთი გასაღები.

5. დროის კვალიფიციური აღნიშვნის საერთაშორისო კოორდინირებული დროიდან (UTC) დასაშვები გადახრა შეადგენს მაქსიმუმ 1 წამს. გაცემული დროის აღნიშვნის ტოკენები ინახება შესაბამის ჟურნალში სააგენტოში დამტკიცებული "ღია გასაღების ინფრასტრუქტურის მედიის მართვის პროცედურის" შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ტოკენის სისწორის დადასტურება სანდო მომსახურების მიმწოდებლის მიერ.

6. დროის აღმნიშვნელი თითოეული ერთეული იყენებს მხოლოდ აქტიური სტატუსის მქონე სერტიფიკატებს.

7. სააგენტო არ არის პასუხისმგებელი:
   ა) იმ პროგრამული ან/და აპარატურული სისტემების გაუმართავი მუშაობით გამოწვეულ ზიანზე, რომლებსაც მომხმარებლები ან/და კონტრაჰენტები გამოიყენებენ ტოკენის მოთხოვნის გასაგზავნად ან მიღებული ტოკენის სისწორის შესამოწმებლად;
   ბ) იმ მონაცემების შინაარსზე, რომლებიც შეიძლება მომხმარებელმა გამოგზავნოს მათზე დროის აღნიშვნის ტოკენის მიღების მიზნით;
   გ) დროის აღნიშვნის ტოკენის გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა შემოსულია წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი ტექნიკური სტანდარტის დარღვევით;
   დ) ზიანზე, რომელიც მიადგა მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მან დროის აღნიშვნის ტოკენზე დაყრდნობამდე არ გადაამოწმა მისი სისწორე ამ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული წესით.

8. დროის აღმნიშვნელი ერთეულის ღია გასაღების გავრცელების მიზნით, შესაბამისი სერტიფიკატები ქვეყნდება ვებგვერდზე - www.id.ge. ისინი ასევე ხელმისაწვდომია დროის აღნიშვნის ტოკენის მეშვეობით.

9. დროის აღმნიშვნელი თითოეული ერთეულის ხელმოწერის სერტიფიკატის გაუქმების თაობაზე ინფორმაციის მიღება შესაძლებელია გაუქმებული სერტიფიკატების სიისა და სერტიფიკატის ავტომატური შემოწმების მომსახურების მეშვეობით.

მუხლი 5. მომსახურების მიწოდების წესი

1. სანდო მომსახურების მიმწოდებლის საკადრო შემადგენლობა განისაზღვრება სააგენტოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. სანდო მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის წესები და პირობები განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, შესაბამისი პოლიტიკითა და სააგენტოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სანდო მომსახურების მიმწოდებლის შინაგანაწესით (შემდგომში - სანდო მომსახურების მიმწოდებლის შინაგანაწესი).

2. მომსახურების საფასურები განსაზღვრულია „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №508 დადგენილებით.

3. მომსახურება შეესაბამება კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკურ რეგლამენტს.

4. თითოეული დროის აღნიშვნის ტოკენი იქმნება ETSI EN 319 422 სტანდარტის შესაბამისად.

მუხლი 6. დროის აღმნიშვნელი ერთეულის გასაღების წყვილის სასიცოცხლო ციკლი

1. დროის აღმნიშვნელი თითოეული ერთეულის გასაღების წყვილის გენერირება ხორციელდება „მექანიკურ რეჟიმში გასაღების წყვილის შექმნისა და სერტიფიკატის გაცემის პროცედურის“ შესაბამისად. გასაღების წყვილის გენერირება ხორციელდება უსაფრთხოების იმავე აპარატურული მოდულის საშუალებით, რომელსაც უშუალოდ იყენებს დროის აღმნიშვნელი ერთეული.
2. პირველი პუნქტით განსაზღვრული უსაფრთხოების აპარატურული მოდული უზრუნვალყოფს დახურული გასაღების დაცვას არასანქცირებული წვდომისაგან.
3. დახურული გასაღების სარეზერვო ასლის აღება ან მისი სხვაგვარად ექსპორტირება უსაფრთხოების აპარატურული მოდულიდან დაუშვებელია.
4. დროის აღმნიშვნელი ერთეულის გასაღების წყვილის სასიცოცხლო ციკლის დასრულების შემდეგ აღნიშნული წყვილი უსაფრთხოდ ნადგურდება უსაფრთხოების აპარატურულ მოდულში.

მუხლი 7. ინფრასტრუქტურული საშუალებების მართვა, ოპერაციული და ფიზიკური კონტროლი

ინფრასტრუქტურული საშუალებების მართვა, ოპერაციული და ფიზიკური კონტროლი რეგულირდება სანდო მომსახურების მიმწოდებლის შინაგანაწესით.

მუხლი 8. ტექნიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

ტექნიკური უსაფრთხოების კონტროლთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება სანდო მომსახურების მიმწოდებლის შინაგანაწესით.

მუხლი 9. აუდიტორული შემოწმების ძირითადი პრინციპები და მასშტაბი

1. აუდიტორული შემოწმების დანიშნულებაა სანდო მომსახურების მიმწოდებლის ყოველდღიური ფუნქციონირების შესაბამისობის შემოწმება შინაგანაწესის მოთხოვნებთან, სააგენტოში დამტკიცებულ პოლიტიკებთან/ინსტრუქციებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან.
2. აუდიტორული შემოწმების შედეგები და შესაბამისი რეკომენდაციები აისახება აუდიტორის ანგარიშში, რომელიც წარედგინება სააგენტოს.

მუხლი 10. დაკავშირებული დოკუმენტები

პოლიტიკა დაკავშირებულია უფლებამოსილებათა დელეგირების, დოკუმენტების დამტკიცების, ტაქსონომიისა და სახელდებისა და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში არსებული სხვადასხვა აქტივისათვის დამოუკიდებელი იდენტიფიკატორის მინიჭების სტანდარტებთან.

მუხლი 11. პოლიტიკის გადახედვის გეგმა და პროცედურები

პოლიტიკის მუდმივ სრულყოფას და მის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, სააგენტოს მიზნებსა და ამოცანებთან უზრუნველყოფს სანდო მომსახურების მიმწოდებლის ხელმძღვანელი, მინიმუმ, წელიწადში ერთხელ.